ქალი როგორც მოქალაქე

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ღელავს ქალთა საკითხი საზოგადოებაში და დღესაც იგი გადაუწყვეტელია. დღევანდელი უკუღმართი ცივილიზაცია ჯერ კიდევ ასე ცალმხრივათ განვითარებული, ქალის შესახებ სდუმს, და ვერ გამოუყენებია მასში დამარხული ძალები რომლებიც თავდებია საზოგადოების გაკეთილშობილებისა და უხეშობის მოსპობისა.

ქალთა უფლებით აღჭურვა თანასწორათ მამაკაცთან აუცილებელია, თუ კაცობრიობას არ უნდა მუდამ იყვეს- ჩლუნგი იარაღი ძალმომრეობისა.

დიდი შეცდომაა აზრი , როდესაც ვლაპარაკობთ მამრობითი სქესის ქალთა უპირატესობაზე. ეს მით უფრო ვითომ ვადარებდეთ ერთსა და იმავე თვისებას, ერთის თვისება შეადგენს მეორეს დამატებას და საერთოდ იქმნება სრულყოფა და ამ ორ სქესთა ბედნიერებაც დამოკიდებულია იქიდან, რომ ისინი ღებულობენ ერთი მეორისგან მხოლოდ მას, რასაც თვითეული მათგანი იძლევა.

ჩვენ ხშირად გვესმის ქალის „დანიშნულებაზე“ და მის უფლებებზე ვითომც ისინი გამოყოფილი უნდა იყოს კაცის უფლებათა და დანიშნულებისაგან, ვითომ ქალი და კაცი სხვადასხვა არსებანი იყვნენ სხვადასხვა მოთხოვნილებით, რომელნიც ერთმანეთს ვერ ურიგდება. ეს სრულიად უსაფუძვლოა. მით უფრო უაზრობა და უსამართლობაა ვიფიქროთ რომ ვითომც ქალებს არ ჰქონდეთ რაიმედ დამოკიდებულება ცოდნის უმაღლეს ფორმებბთან, რომელნიც ზრდის და ანვითარებს კაცობრიობას ზნეობრივად და სულიერად, მით უმეტეს ბოროტებაა, თუ მამაკაცები ფიქრობენ, რომ ქალი მხოლოდ მონურად ემორჩილებოდეს მას, და მისი მოქმედება ისაზღვრებოდეს ოჯახური ცხოვრებით.

დიახ ეს დიდი შეცდომაა ქალების შესახებ, იმიტომ რომ ისინი არიან შექმნილი თანაშემწეთ და ამხანაგათ მამაკაცისა. და განა შეიძლება მონა იყოს ღირსეული ამხანაგი?

არასოდეს. ამიტომ თუ გვინდა გავაფართოვოთ საზღვრები ადამიანის შემოქმედების უნდა ვეცადოთ ქალის მოქალაქობრივ გავლენის გაძლიერებას, რადგან გვიან იქნება მაშინ როდესაც ასეთის მოთხოვნილება დიდი იქნება და ქალები მომზადებული კი არ იქნებიან. ქალის დანიშნულება ამ შემთხვევაში ასეთია: იგი აძლევს ფორმას ცოდნას და რაიმეს სასარგებლოთ მოხმარას სილამაზეს ე.ი. მათი მეოხებით ჩვენთვის თვალსაჩინოა ისეთი საგნები, რომლებიც თვით მეცნიერებითაც ძნელი იქნებოდა მათი აღწერა, ისინი ალამაზებენ და აფასებენ როგორც მას, თუ რა აკმაყოფფილებს და ხელს უწყობს ყოველდღიურ ცხოვრების საჭიროებას, არამედ მასაც თუ რა მატერიალისგან კეთდება ამ საჭიროების დამაკმაყოფილებელი საგნები.

ამიტომ არამც თუ სამართლიანობა არამედ ის რომ ხალხის მუშაობა იყოს სასარგებლო, მოითხვოს ქალთა თანასწორი უფლებით აღჭურვას მართვა გამგეობაში. ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე მართვა-გამგეობა უხეშ ძალაზეა დამყარებული და ამის გამო ცხოვრებაც ასე მოსაწყენი და ტლანქი რომ არის...

ფილოსოფოსი სოკრატი აქვს ნათქვამი: „საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს წესწყობილება, თუ იგი მხოლოდ დამყარებულია ძალაზე და არა დარწმუნებით მოქმედებაზე, იგი არის აქტი ძალდატანებისა და არა კანონიო“ საზოგადოთ ცივი და მძაფრი ჭკუა მამაკაცებისა ძალდატანების კანონებს ჰქმნინდენ, მაგრამ გაქრება ეს თუ ამას დავურთავთ ქალთა მგრძნობიარე გულით და სულით ზეგავლენას მოვახდენთ კავშირის სხვადასხვა ნიჭისა და

გრძნობისას, რომ კაცობრიობამ მოიკრიბოს ყოველმხრივი ძალა, ცხოვრების უსამართლობასთან ბრძოლაში.

თვით კერძო ცხოვრებაში არც ერთ მამაკაცს არ უტარებია ცხოვრება სისწორით, თუ მას არ მფარველობდა ქალის მოსიყვარულე გული, თუ მას ქალის გამბედაობა და კეთილი გონიერება არ ხელმძღვანელობა.

ასეთი იქნება მათი როლი მართვა გამგეობაშიც. და ამიტომ სულით და გულით უნდა მივისწრაფოდეთ ისეთი წესწყობილებისაკენ, სადაც ქალებს ექნებათ, თანასწორი უფლებანნი, რომ მამაკაცებს გვერდში ამოუდგეს ღირსეული თანაშემწენი რომელთა გული სავსეა ლმობიერებით რაც აუცილებელი საჭიროა ცხოვრებაში ერთმანეთთან დამოკიდებულების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობის ხვედრი ისევ მკაცრი იქმნება და მამაკაცნი საბრალო არსებანი.

გ. ბრეგაძე

1917 წელი, გაზეთი #5